წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N42
30 დეკემბერი 2022 წ.

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, -წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N34 დადგენილებაში (www. Matsne.gov.ge, 04/10/2022, სარეგ.კოდი 010320000.35.104.016494) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგო ოდენობები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	კოეფიციენტი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4180	
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3102	
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2860	
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2200	
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2200	
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1815	

7	პირველი რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	2420	2.0
8	მეორე რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1936	1.6
9	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1573	1.3
10	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1452	1.2
11	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1331	1.1

”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**